საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1379-02
22/05/2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დ. ჯაფარიძის 2019 წლის 13 მაისის N7801-35 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 მაისის N5 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2019 წლის 10 ივნისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 3 საშტატო ერთეულზე.**

2.კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ანკეტა (შევსებული);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ოთხი ფოტოსურათი 3X4;

დ) სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა;

ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) ერთი ნაშრომი, ან სამუშაოს აღწერა, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის შესაბამის გამოცდილებას;

ზ) ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა (სილაბუსი);

თ) ცნობა სამუშაო ადგილიდან პროფესიული გამოცდილების შესახებ.

4. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება მოხდება უფლებამოსილი ორგანოს აკადემიური საბჭოს ან აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის მიერ. გადაწყვეტილიების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას კანდიდატების პროფესიული გამოცდილება, სპეციალური მომზადება ან/და პუბლიკაციები.

5. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში, მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, **2019 წლის 11 ივლისიდან 2019 წლის 24 ივლისის ჩათვლით.**

6. კონკურსის შედეგები გამოცხადდება **2019 წლის 9 აგვისტოს,** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.

7. საბუთები უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: info@iliauni.edu.ge

8.იმ კანდიდატთა საკონკურსო განაცხადები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ ამ ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ინახება საკონკურსო შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.

9.ამ ბრძანების მე-8 პუნქტში მითითებულმა პირებმა, საკონკურსო განაცხადის დაბრუნების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს განცხადებით უნდა მიმართონ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.

10. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კონკურსანტის მიერ გამოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტები “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცადეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. კონკურსანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მხრიდან დამუშავდება შრომითი ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის.

11. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია / დოკუმენტაცია;

12.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

13.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი